

ხალგაზრდა ვეროელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6
ივლისი
შაბათი
1991
№ 78
(11711)

1921 წელს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

შანი 10 კპბ.

გაზეთი, ანა. სარწმუნოება

უზა იონა ნათლისმცემლისა

24 ივნისს (7 ივლისს — ახ. სტ.) ჭრი- რომელიც იყო განსაკუთრებულად გა-
სტმს მართლმადიდებელი ეკლესია იხ- მორჩეული და მაღალფენილი.
სენაზს იონა ნათლისმცემლის უზას, (დასასრული მ-ს გვ.)

საქართველოს ოფიციალურ და არაოფიციალურ სტუმრებს ორგანიზაციას | კონფერენცია

გაზელეთის ტაბ.
18-26 თიხათვი,
1991 წელი

ის, ვინც მენტაკულად თვალ-
ყურს ადევნებს საქართველოში
მიმდინარე საზოგადოებრივ, პო-
ლიტიკურ თუ სხვა სახის ცვლი-
ლებებს, განსაკუთრებულ დაკვირ-
ვებათა მიუხედავად, შეამჩნევდა
უკანასკნელ პერიოდში ჩვენში

სტუდენტური მოძრაობის შესუს-
ტებას და მის ადგილზე სტუდენტ-
ობისათვის შეუფერებელი ვაკუ-
უმის გაჩენას. ჩვენი მიზანი არ გა-
ნაღვალა ამ საეკლესიო შედეგის გა-
მომწვევი მიზეზების ძებნა, ჩვენ
უფრო მდგომარეობის აღდგენა-
გამოსწორების მიზეზებს ვეძებთ.
თუმცა უდავოა, რომ ავადმყოფის
განკურებისათვის უპირველესად

დაავადების ფორმების დადგენა
საჭიროა. მრავალთა შორის ორი
ძირითადი მიზეზი გვსურს გამოვ-
ყოთ: პირველი ის განხილეთ, რომ
სტუდენტთა აქტიურობა ნაწილში
საკუთარი პოტენციალი ცალკეულ
ორგანიზაციათა გაძლიერებას დაუ-
კავშირა და სტუდენტური მოძრა-

(დასასრული მ-ს გვ.)

ედუარდ შავარდნაძე გამოდის სკკპ რიგგარეშად

საკითხი საბჭოთა კავშირის კომპარტიასთან „ურ-
თიერთობის“ შესახებ, რომელიც აღიძრა „დემოკრა-
ტიული რეფორმების მოძრაობების“ ინიციატივითა
პრესკონფერენციაზე, ედუარდ შავარდნაძემ დაუყო-
ნებლო გადამჭრა. მან შეიტანა განცხადება პარტიიდან
გამოსვლის შესახებ.

როგორც ცნობილია, ვენაში ახალი საზოგადოებ-
რივ-პოლიტიკური სტრუქტურის შექმნის განზრახვის
შესახებ მისი განცხადების შემდეგ სკკპ საკონტროლო
კომისიამ დაიწყო პარტიული გამოძიება ყოფილი სა-
გარეო საქმეთა მინისტრის მიმართ.

ე. შავარდნაძემ პირობა დადო, რომ უახლოეს ხანს
„პრინციპული თვალსაზრისით გაერკვევა“ და შეორე
დღეებში „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის“

ე. შავარდნაძეს არსად არ იცნობენ ისე პარტად, როგორც საქართველოში. ეს სხვადა-
სხვა გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადების ამ ფრაგმენტებიდანაც პარტად ჩანს.

საქართველოს მუდმივ წარმო-
მადგენლობაში, მოსკოვში გაიმარ-
თა საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსა-
ხურდიას პრესკონფერენციაზე

„დემოკრატიული რეფორმების მოძ-
რაობაზე“ და ედუარდ შავარდნა-
ძის დღევანდელ საქმიანობაზე ჩა-
მოვარდა ლაბარაკი, ზვიად გამსა-
ხურდიამ აღნიშნა: „ახლა ლაბა-
რაკობენ, რომ შავარდნაძემ დიდი
ეგვალუცია განიცადა. მაგრამ მე
მინდა ეს საქმით დაეინათ. როცა
შავარდნაძე გამოვევთ თავის და-
მოკიდებულებას სკკპ-სადმი და
თავის ადგილს სკკპ-ში, როგორც
აღსარებისას, მთელის ხალხის, ის-
ტორიის წინაშე მოუყვება, რა ჩი-
დინა სკკპ-ში და საქართველოში,
პირველ რიგში სწორედ საქართვე-
ლოში, როცა იქ სკკპ-ს ემისარი
იყო, აი, მაშინ დაუჭერებ შევიარ-

დნაქს. მაგრამ სანამ ის თავის
წარსულზე ღუშს, არც სკკპ-ზე ამ-
ბობს რამეს და იმას კი გაიძახის,
რომ ახლა დემოკრატიისათვის
სურს ბრძოლა, — ეს მე მაშფო-
თებს. თქვენ ჯერ გვიამბეთ, რაც
ჩაიდინეთ, დაგმეთ წარსული, თუნ-
დაც ისე, როგორც ეს ხრუსჩოვმა
გააკეთა. მე, მაგალითად, მისი ბევ-
რად უფრო მეტია, ვიდრე სხვა
ლიდერებისა, რადგან ხრუსჩოვმა
აღსარება თქვა: ვფიქრობ, ეს მო-
ქმედება პარტიისთვის ღირსია“.

კომინიოვის მუნიციპალური სა-
ბჭოს გაზეთ „ვეჩერნი კომინიოვის“
2 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ინ-
ტერვიუ ბატონ ნოდარ ხათაძეს-
თან, სადაც კორესპონდენტის შე-
კითხვაზე „რამდენადაც პრესიდანაა
ცნობილი, ედუარდ შავარდნაძეს
გაეროს გენერალური მდივნის —

პერეს დე კუელიარის ადგილის
დაკავება სურს. მის მიმართ ბევ-
რი სიმპათიითაა განწყობილი რო-
გორც კავშირში, ისე საზღვარგა-
რეთ, მაგრამ მე მომეჩვენა, რომ
საქართველოში ის პოპულარობით
არ სარგებლობს“. ბატონმა ნო-
დარ ხათაძემ უპასუხა: „მას დიპ-
ლომატის და მოხიბვლის ნიჭი აქვს.
მისი წამოყენება მსოფლიო საზო-
გადოებრიობის გემოვნებაზე ლა-
პარაკობს. მაგრამ ეს გემოვნება
არანაირად არ ვრცელდება საქარ-
თველოზე.“

მან ბევრი ცული გაუკეთა რეს-
პუბლიკას. საქართველოს კომპარ-
ტიის პირველი მდივნის მოსტრე
ყოფნისას 1971 წელს მან დაიწყო
ბრძოლა ქართველი „ჩრდილოვანი
ეკონომიკის“ წარმომადგენლების
წინააღმდეგ. ამ ექსპერიმენტს დი-
დი მსხვერპლი მოჰყვა. დააპატიმ-
რეს ათეულ ათასობით ადამიანი“.



იუგოსლავიის რესპუბლიკებში — სლოვენიასა და ხორვატიაში,
რომელთაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, გრძელდება შეტაკებები
ფედერალური არმიის ნაწილებსა და ამ რესპუბლიკების თავდაცვის
ძალებს შორის. ამოიწურა ულტიმატუმის ვადა, რომელიც იუგოსლავი-
ის ფედერალურმა მთავრობამ წაუყენა სლოვენიას და, როგორც
ჩანს, სლოვენიამ უარყო იგი. ფედერალურმა მთავრობამ მოითხოვა,
რომ სლოვენიის თავდაცვის ძალები დაბრუნებულიყვნენ უკან, ყა-
ზარმებში. დაებრუნებინათ ფედერალური არმიის ტყვედ
ჩავერდნილი ჯარისკაცები და გატაცებული იარაღი. ასევე,
კვირას, შუადღისათვის, ფედერალურ მთავრობას გადასცენ კონტრო-
ლი ყველა საერთაშორისო სასაზღვრო პუნქტზე, თუმცა, როგორც
სლოვენიის პრეზიდენტმა მ. კუჩანმა განაცხადა, იუგოსლავიას აღა-
რა აქვს საზღვარი ავსტრიასთან და იტალიასთან და რომ სლოვენი-
ა არ აპირებს არავითარი ულტიმატუმის შესრულებას.

ხორვატიის ინფორმაციის მინისტრის ცნობით, რესპუბლიკის ტე-
რიტორიაზე გრძელდება იუგოსლავიის ფედერალური არმიის ნაწი-
ლების კონცენტრაცია; მისი თქმით, ხორვატია მზად არის დაიცვას
თავისი სუვერენიტეტი.

დასავლეთ ევროპა აძლიერებს დიპლომატიურ და ფინანსურ ზე-
გავლენას იუგოსლავიაზე, რათა აიძულოს ფედერალური მთავრობა,
მშვიდობიანი გზით გადაკრას პრობლემა.

პანკაში იკრიბებიან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საგარეო
საქმეთა მინისტრები, რომელთაც უნდა გადაწყვიტონ, აღიარონ თუ
არა ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობა, ისინი ასევე გა-
ნიხილავენ იუგოსლავიისათვის 900 მილიონი დოლარის ფინანსური
დახმარების შეჩერების საკითხს.

საბჭოთა პრეზიდენტის მრჩეველი ე. პრიმაკოვი იაპონიაში იმყო-
ვება, რათა მიიღოს ამ ქვეყნის მხარდაჭერას საბჭოთა კავშირისათ-
ვის ფინანსური დახმარების გაწვევის საკითხში. როგორც პრემიერ-
მინისტრმა ტ. კიფუმე განაცხადა, იაპონიის მხარდაჭერა განპირობე-
ბული იქნება საბჭოთა რეფორმების ხასიათით, ასევე საბჭოთა მთა-
ვრობის დიპლომატიური ნაბიჯებით. როგორც ჩანს, მან იგულისხმა
ტერიტორიული დავა კურილის კუნძულების გარშემო. ბი-ბი-სის
კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, რომ ე. პრიმაკოვმა ჯერჯერო-
რობით ვერ შეძლო იაპონიის ამ პოზიციის შეცვლა.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ე. შვეარ-
დნაძე გამოვიდა კომპარტიის რიგებიდან მას შემდეგ, რაც უარი
თქვა დასწრებოდა ცენტრალური საკონტროლო კომისიის სხდომას,
რომელიც მისი მოღვაწეობის საკითხს განიხილავდა — ახალი თბო-
ნიკური მოძრაობის შექმნასთან დაკავშირებით. შვეარდნაძემ კომ-
პარტიის მიერ მისი საქმიანობის გამოკვლევის ინკვიზიცია უწოლა
და თქვა, რომ ამას არ აქვს არც თვითონ, არც მორალური სა-
ფუძველი. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა კაჩალიძემ
განაცხადა, რომ შვეარდნაძეს პარტიიდან გასვლის გამო ცენტრალური
საკონტროლო კომისია აღაპ მიიღებს შესაბამის ზომებს.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმო-
მადგენლის ცნობით, პრეზიდენტმა გორბაჩოვმა ლებ ვალენსას სახე-
ლზე გაგზავნილ წერილში უარი თქვა თავის ადრინდელ მოთხოვნა-
ზე — პოლონეთი არ შესულიყო საბჭოთა კავშირისადმი მტრულად
განწყობილ სამხედრო კავშირში. აქ, რასაკვირველია, ნატოს ბლოკი
იგულისხმება. პოლონეთი და საბჭოთა კავშირი მოლაპარაკებას აწი-
რებენ ახალი ორმხრივი ხელშეკრულების თაობაზე. როგორც ვარა-
უდობენ, საბჭოთა მთავრობა ასევე შეცვლის თავის პოზიციას ჩე-
ხოსლოვაკიასთან და უნგრეთთან ანალოგიური ხელშეკრულების და-
დების საკითხში.

ალბანეთი აღადგენს დიპლომატიურ ურთიერთობას ვატიკანთან 54-
წლიანი შესვენების შემდეგ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის
პრემიერ-მინისტრმა რ. ბუფტი რომის პაპთან აუდიენციის დროს.
1967 წელს ალბანეთი ათეისტურ სახელმწიფოდ გამოცხადდა და მის
ტერიტორიაზე დაიხურა ყველა ეკლესია და მეჩეთი.


მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა სპარსეთის ყურის ომში,
ამერიკელმა გენერალმა ნორმან შვარცკოფმა, რომელსაც გუშინ უმაღ-
ლესი სახელმწიფო ჯილდო — თავისუფლების მედალი გადასცეს — ამე-
რიკის დამოუკიდებლობის დღესასწაულთან დაკავშირებით, განაცხა-
და, რომ 1992 წელს არ წამოაყენებს თავის კანდიდატურას სენა-
ტის არჩევნებში ფლორიდას შტატადან.

ეურნალობის ტემპი საუბარში ნ. შვარცკოფმა თქვა, რომ მომავალ
თვეში პოსტიდან გადადგომის შემდეგ სურს დაწეროს წიგნი და გა-
მოვიდეს მოხსენებებით, თუმცა შემდგომში არ გამოიტყვის პო-
ლიტიკური მოღვაწეობის დაწყებას.

იონა თავადონაშვილი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოპრობ, ალაშიანს პერაპინ ღაიფონაბს, თუკი თაჰად არ მოინდომა...



ახლანან ქართულ ჟურნალ-გაზეთებს კიდევ ერთი გამოცემა, გაზეთი „დრონი“ შეემატა. თემატიკის მრავალფეროვნება, სახანაოვნო ილუსტრირება, ინფორმაციების სიუხვე, ალბათ, პირველი ნომრიდანვე მიიქცევა მკითხველთა ყურადღებას.

დღეს კი რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ გაზეთ „დრონი“-ს რედაქტორს, ცნობილ ჟურნალისტს, პრინტ-გრაფიკოსს იგი ადრე რედაქტორობდა ჟურნალებს: „მარტვი“, „ხეობა და ცხოვრება“, გაზეთებს: „ლელო“, „თბილისი“, იყო საქტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე.



საქართველო

„დრონი“ თავისუფალი გაზეთია

— „დრონი“ გამოსვლისთანავე ბევრს გაუჩნდა კითხვა: იგი „7 დღის“ შემკვიდრება, თუ ახალი გამოცემა?

— ბევრჯერ განვმარტეთ ეს, მაგრამ, ეტყობა, ნათლად მაინც ვერ ჩამოვაყალიბეთ. „7 დღის“ რედაქციამ თან წაიღო თავისი გამოცემის სახელწოდება. „დრონი“ პრაგის მემკვიდრე არ არის, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად ხელისმძღვერი „7 დღის“ ნაცვლად მას ღებულობს. მით უმეტეს, არ არის იგი ვინმეს შემკვიდრე თავისი პრინციპებით, მიმართულებით, კრედიტით.

რაც შეეხება „7 დღის“ რედაქციას, მას არც „რეპრესია“ განუცლია, არც დისკრიმინაცია, არც არავის „გაურთავებს“. უბრალოდ, ახალგაზრდა, თანამედროვე, ნიჭიერი ჟურნალისტებით დაკომპლექტებულმა რედაქციამ გადაწყვიტა სრული ავტონომიის მოპოვება. ეს მე ბუნებრივად მიმაჩნია: დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ნებისმიერი ღირსეული ადამიანის თვისებაა. დარწმუნებული ვარ, „7 დღის“ კვლავ გამოდგება ჟურნალისტურ სარბიულზე თავის საბრძოლო „დრონი“ და ჩვენ გავგონებთ მის არასტანდარტულ სიტყვას.

— თქვენ ბრძანებით, „დრონი“ არავის შემკვიდრე არ არის თავის პრინციპებითა და მიმართულებებით. უფრო კონკრეტულად?

— ადამიანისა და გამოცემის ყველაზე დიდ ნაკლად მიმაჩნდა და მიმაჩნია ყალბად გაგებული სუბიექტივიზმი, რომელიც ნიღბაფარებული კონიუნქტურა მგონია. „დრონი“-ს უპირველესი პრინციპია სრული ობიექტურობა. ინგლისელი ჟურნალისტი თავისმა წიგნის დროსაც კითხვას, წვიმს თუ არა, ნაღდად წვიმისა კი არ იტყვის, — ჩემი აზრით, წვიმისა.

არასოდეს არ იქნება ჩვენი გაზეთი კატეგორიული. კატეგორიულობა, მით უმეტეს, უხეში, გონებაზე ზღუდულობის, ცალმხრივი აზროვნებისა და დიქტატის გამოხატულებაა. ჩვენ დავამხებთ ერისათვის მიუღებელი რეჟიმი და დემოკრატიასთან ერთად მხოლოდ ახლა გსწავლობთ ობიექტურობას, სხვათა აზრის მოსმენასა და გათვალისწინებას. საკუთარი თავის პატივისცემული გაზეთი ვალდებულია იყოს ობიექტური, ტენდენციურობას, კატეგორიულობასა და თითის ქნევას მოკლებული. ერთი სიტყვით, იგი უზრდველობას, ლანძღვა-გინებას, ჩასაფრებას, დაბეზღებას, მლიქვნელობას, დაუსაბუთებელი ბრალდებების წაყენებას და მისთანებს კი არ უნდა ასწავლიდეს საზოგადოებას, არამედ შეშფუთავებლობას, პრინციპულობას, გულწრფელობას, სიმართლის სიყვარულს. პირდაპირ გეტყვით, „დრონი“ არამც და არამც არ არის ოპორტიუნული გაზეთი. თავად განსაჯეთ, გამოცემა, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში პატივს სცემს, ოპორტიუნული ვერ იქნება.

— რატომ ღარაკვით გაზეთს „დრონი“?

— თუ უხერხულ კალამბურად არ ჩამეთვლება, „დრონი“ შერჩევას, დრონი დასჭირდა. თუ უფრო სერიოზულად, ამ სახელწოდებაში გატყდა მისი არსი. მხოლოდ დროა მარადიული, უწყვეტი, უსასრულო და ყველაზე ბრძენი მსაჯული ამქვეყნად. „დრონი“, რედაქციის ფიქრით, უნდა განასახიერებდეს დროთა, ანუ თაობათა კავშირს, ჩვენ უნდა მივსდით წარუვალი მნიშვნელობის ფორმულას: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. სამწუხაროდ, ამ ბრძულ სენტენციას უფრო „საკეკლუტოდ“ ვიყენებთ.

ეს, საზოგადოდ, კონკრეტულად კი სახელწოდება „დრონი“ ჩემს სიყრმის მეგობართან ვახტანგ რურუსთან ერთად მოვიფიქრე დიდი ხნის წინათ. ჩვენ ვოცნებობდით გაზეთზე, რომელსაც „დრონი“ ერქმეოდა, ვახტანგ რურუსმა და მე ბევრი ჟურნალ-გაზეთი ვაკეთეთ ერთად. სამწუხაროდ, „დრონი“-ს მოუცლევობის გამო ვერ არ მოსულა. არადა, „დრონი“-ს გრაფიკული გამოსახულება კარგა ხანია აქვს შექმნილი. ასე რომ, ალბათ, ახლო მომავალში მკითხველი იხილავს გაზეთის ვახტანგ რურუსეულ თავსართს.

— გაზეთის პირველი ნომრის სარედაქციო წერილის სათაური იყო „დრონი“ შეფუთენ... რაიმე ქვეტექსტს ხომ არ გულისხმობდით?

— დიან, ვგულისხმობდით, ჩემი აზრით, არც ერთი ძეხორციელისათვის არასდროს არის ზედმეტი იმის შესწენება, რომ, ზემოთ თქმულისა არ იყოს, მხოლოდ დროა მარადიული, მოკვდავთა ზეობა კი ხანმოკლე და წარმავალი. ამიტომ უნდა გვახსოვდეს ყალბაუსკვლელი სიბრძნე: „მემენტო მორი“.

— რა აზრითა ბრძანებით სოკობივით მომრავლებულ ჟურნალ-გაზეთებზე?

— გამოცემის სიმრავლე, თუკი ისინი ერთმანეთს არ დაემგვანა, აქვებებს აზრთა პლურალიზმს და, შესაბამისად, ავითარებს ღემოკრატობას, თავისუფალ აზროვნებას.

— ფიქვით, ორმა ან მეტმა ავტორმა ერთი და იგივე ხაჯტხზე განხვავებული შეხედულებების გამოხატულები სტატია შემოგთავაზათ. დაბეჭდვით თუ არა ყველას?

— ყველა სტატია გამოქვეყნდება — რაგინდარა მოსაზრების შემცველი. არ დავებედავით მხოლოდ ხულოვნურს, შეუმოწმებელ, დაუსაბუთებელ წერილებს, რომლებიც ქემშიარტებისათვის მოხვევებით ბრძოლას თვითნებთ მოწინააღმდეგეების პიროვნული ღირსების შელახვისა და შურისძიებისათვის იყენებენ.

— თქვენ ბევრ გამოცემას ხელმძღვანელობდით — „მარტვით“ დაწვებული, ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარეობით დამთავრებული: აპირებთ თუ არა ზოგიერთი თქვენი წინანდელი პრინციპის „დრონი“-შიც“ დამკვიდრებას?

— ძველი „ბავაჯიდან“ გამოიყენებთ მხოლოდ იმ პრინციპებს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლო და ჩვენს დინამიურ პერიოდშიც არ მოძვედებულა. ეს პრინციპებია: პროფესიონალიზმი, ანალიტიკური აზროვნება, თავისთავადობა. ყველაზე მეტად კი „დრონი“ შეძლებისდაგვარად შეებრძოლება კონიუნქტურულ აზროვნებას, რომელიც ამჟამად საოცარი სისწრაფითა და ინტენსივობით იკიდებს ფეხს.

— რა იყო ტელერადიოკომიტეტიდან თქვენი წახვლიხა თუ „გაზეთის“ მიზეზი?

— ჩვეულებრივ, სადაც მივსულვარ, ვცდილობდი რაიმე ახალი გამეკეთებინა. ამას მეტბაკლებად ვახერხებდი. ტელევიზიაში ეს ვერ შევძელი: უბრალოდ არ დამცალდა. ვერ ვიტყვი, რომ დაცულია, რაიმე ახალს განვზოროცილებდი-მეთქი, თუმცა, უამრავი ჩანაფიქრი მქონდა. თავმჯდომარეობა პოლიტიკურად უიღბურესად დაძაბულ დროში მომიწია. ტელევიზია ახალი დარბეული იყო. ჯარების მიერ. შემდეგ იგი იქცა სტიქიური თუ ორგანიზებული შიტივების, დემონსტრაციებისა და პივეტების ეპიცენტრად. არავინ გვიცავდა. ჩემი ერთადერთი მიზანი იყო, როგორმე ტელევიზიის შენობასთან ვნებათაღელვას სისხლისღვრა არ მოჰყოლოდა. ეს დილა-ფიქრი აღეასრულე, მაგრამ, სამაგიეროდ, უიღბრესად უქმყოფილო ვიყავი ჩემი იძულებითი შემოქმედებითი უშეუბით. „როცა ზარბაზნები ქუხან, მუხები სლუბან“.

ეროვნულ მოძრაობაში ბევრი ახლო მეგობარი მყავდა და მყავს. ეს მუდამ მეამაყებოდა. მაგრამ არასოდეს არც ოფიციალური, არც არაოფიციალური ხელისუფლებისათვის, ცალკეული პიროვნებისათვის ქელი არ მომიხრია. ეს ბევრჯერ საზიანო აღმოჩნდა ჩემთვის, მაგრამ, სამაგიეროდ, მშვიდდ მძინავს და არ მეშინია, ვინმემ დამაღანაშაულოს სულმოკლეობასა და კონიუნქტურაში.

რაც შეეხება „გაზეთებს“, ოფიციალურად ეს არავის უთქვამს ჩემთვის, ისე კი, ალბათ, გახსოვთ, ტექტობრის არჩევნების შემდეგ მთელი მთავრობა გადადგა და, ბუნებრივია, როგორც მთავრობის წევრს, ის მეც შემეხო.

— გულისათ თუ არა, როგორც რედაქტორს, ცენზორი, რომელსაც ხელი შეუშლია თქვენი თამამი ჩანაფიქრისათვის.

— ცენზორი, სამწუხაროდ, ყველა ჩვენგანში ზის, მაგრამ შეძლებისდაგვარად მუდამ ვცდილობდი არ დამეწერა ის, რისაც არ მწამდა. სრულფასოვნად შევასრულე-მეთქი სურვილი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ერთი ცხადია: ხელისუფლების მამებელი წერილები არ მიბეჭდია იმ გამოცემებში, რომელსაც ვხელმძღვანელობდი. მერწმუნეთ, ძნელი იყო ამის კეთება იმ პერიოდში. ახლა ადვილია იმ ადამიანების კრიტიკა, რომლებსაც აუტანელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ამის გაუთვალისწინებლობა ნამდვილად არ ეგების. ვიმეორებ, არასოდეს არავის ვმოჩინებდი, გულნდრუკიც არავისთვის მიკმევია. მაქსიმალურად ვცდილობდი ცენზორი საკუთარი თავისთვის მომეშორებინა.

საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე გაჭირვებული, ძნელი ცხოვრება მაქვს გამოვლილი (დღემდ უმამოდ ოთხი შვილი გავგზარდა, თანაც ომის დროს), მუდამ თავისუფალი და ლაღი კაცი ვიყავი. ვფიქრობ, ადამიანს ვერვინ დაიმონებს, თუკი მონობა თავად არ მოინდომა.

ვეცდები, „დრონი“-ს შეძლებისდაგვარად არავის ემონოს.

ყურადღება!

მკითხველებს და საქმიან წრეებს ვაცნობებთ, რომ „მოკლე ეკონომიკური ლექსიკონი“ (შემდგენელი ზ. ჩქვანავა) იყიდება მენციერებათა აკადემიის წიგნის მაღაზიაში. მისამართი: თბილისი, ქაიხავაძის პროსპ. 12. ტელ: 22-76-80.

კოლეგები

ახალგაზრდულ გაზეთ „საქმის“ რედაქცია მიზნად ისახავს რესპუბლიკაში თავისუფალი მეწარმეობის, მენეჯმენტის და მარკეტინგის ანალიზს, აგრეთვე ახალგაზრდა ბიზნესმენების, კონცერნებისა და გაერთიანებათა საქმიანობის კოორდინაციას თაგისი წვლილის შეტანას და მის პროპაგანდას, რეკლამას. ამ მიზნით საქართველოში ეკონომიკური პროფილის ერთადერთი გაზეთი — „საქმე“ დიდი მოთხოვნით გამოდის.

ვისაც სურს გაზეთ „საქმე“-ს განცხადების მოთავსება ამა თუ იმ დანიშნულების შექონე საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, გთხოვთ, მოგემართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ანავის ქ. № 7, მე-12 ხართული, გაზეთ „საქმის“ რედაქცია. ტელ. 98-74-82. ყოველდღე 10-დან 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

ზურაბ განათიფილი

ზაფხულის ამ მზიან დღეს უნდა გეზიმი დაბადების 31-ე წლისთავი. მაგრამ, სამწუხაროდ, უბედურმა შემთხვევამ ფრთხილ შევჭრა შენს ლამაზ ოცნებებს, ახალგაზრდულ გატაცებებს. ვინ იფიქრებდა, რომ შენ — სიცოცხლით სავსე, მუდამ ხალი-სიანი, იუმორით აღსავსე, ისე უდროოდ წახვიდოდი ჩვენგან. უმეობა ძალიან გვიჭირს, შენი წასვლით ჩვენს გულს სამუდამოდ დაჩინდა მოღუშეული კრილობა. წახვიდი ივედგან და თან გაყოლე დარდი და ტკივილი, ტკივილი და გაუთვლებელი გული, თან გაყოლე ჩვენი სიყვარული და პატივისცემა. მშვიდობით, ჩვენი მარად-დაუფიქვარო, მსუბუქი იყოს შენთვის დედასავით საყვარელი საქართველოს მიწა.

დღეს და მემოზრები

გაბა ურუშაქა

სადაც, ზეცის მიღმა იწყებოდა შენი სიცოლი, გაგა! არადა რაღაც უთქმელი სევდა სულ სხვა-ნაირად გაფერადებდა...

რა ცოტა ყოფილა 16 წელი! რა დაუნდობელია წუთისოფელი! შენი სახელი მუდამ ეხსოვებათ შენს თანატოლებს, შენ ხომ საოცრად უყვარდი თანაკლასელებს, როგორც გონიერი, ნიჭიერი, ცელქი ბიჭუნა. გაგა ურუშაძის ნახატები და 9 აპრილის თემა განუყოფელია. თამრიკო კოველიძისა და ნათია ბაშელიფილის დაღუპული გამოწვეული გრძობებიცაა დამოცემული იმ სურათში. სადაც ანთებული სანთლის მიღმა გაფართობული, სასიკვდილო განაჩენ-გამოტანილი ორი სასოწარკვეთი-ლებით აღსავსე თვალი შემოგცქერის. მომავალ 9 აპრილს ჩვენს გამოფენას შენი სურათებიც დაამშვენებს, გაგა!

გიყვარდა სამშობლო და გინაროდა მისი აღმავლობა: ვაი, რომ უბედურმა შემთხვევამ დაგაშორა შენს სკოლას, თანატოლებს, შენს ბიჭუნას. გაგა ურუშაძის ნახატები და 9 აპრილის თემა განუყოფელია. თამრიკო კოველიძისა და ნათია ბაშელიფილის დაღუპული გამოწვეული გრძობებიცაა დამოცემული იმ სურათში. სადაც ანთებული სანთლის მიღმა გაფართობული, სასიკვდილო განაჩენ-გამოტანილი ორი სასოწარკვეთი-ლებით აღსავსე თვალი შემოგცქერის. მომავალ 9 აპრილს ჩვენს გამოფენას შენი სურათებიც დაამშვენებს, გაგა!

გიყვარდა სამშობლო და გინაროდა მისი აღმავლობა: ვაი, რომ უბედურმა შემთხვევამ დაგაშორა შენს სკოლას, თანატოლებს, შენს ბიჭუნას. გაგა ურუშაძის ნახატები და 9 აპრილის თემა განუყოფელია. თამრიკო კოველიძისა და ნათია ბაშელიფილის დაღუპული გამოწვეული გრძობებიცაა დამოცემული იმ სურათში. სადაც ანთებული სანთლის მიღმა გაფართობული, სასიკვდილო განაჩენ-გამოტანილი ორი სასოწარკვეთი-ლებით აღსავსე თვალი შემოგცქერის. მომავალ 9 აპრილს ჩვენს გამოფენას შენი სურათებიც დაამშვენებს, გაგა!

თბილისის 31-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

საქართველო



საკრებულო

2 თამაში: 1 მოგება, 1 ფრე, ბურთების სხვაობა — 6:4. აი, ასეთია ამჟამად, 1991 წლის 6 ივლისისათვის, საქართველოს ეროვნული ნაკრების მაჩვენებელი...
წელიწადზე მეტი გავშალა იმ დღიდან, როცა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა თავისი პირველი ოფიციალური მატჩი გამართა და აი, 2 ივლისს, კიბინოვში, ქართველი ფეხბურთელები მეორედ ისმენდნენ საქართველოს პიმსს, ამასთან, პირველად თავიანთ გასულით მატჩში. აღსანიშნავია, რომ მოლოდინებსა და საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩამდე მასპინძლებს არასდროს არ აღუშრობიათ თავიანთი (ეროვნული) დროში და ასევე პირველად დაუკრეს მათი ახალი პიმი...

არა, ეს უბრალო მატჩი არ იყო. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრას ჰქონდა საქველმოქმედო ხასიათი — მთელი შემოსავალი ირიცხებოდა საქართველოში მომხდარი მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ფონდში, მაგრამ, ამას გარდა, შეხვედრას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.
კარგად უწყობდნენ მასპინძლებმა, რომ გარკვეულ რისკზე მიდიოდნენ საქართველოს დამოუკიდებელ ფეხბურთის ფედერაციასთან ზომ ყველას აკრძალული აქვს ურთიერთობა თვით ამხანაგური თამაშების ჩათვლითაც, მაგრამ ჩვენი მოლოდინები შეგობრები (ამ სიტყვის ხმარება, შეიძლება, კიდევ ბევრჯერ მოგვიწიოს, ოღონდ, წინდაწინ ვიტყვი, რომ ყბადაღებული კომუნისტურ ინტერნაციონალისტურ გრძობაზე არ არის აქ საუბარი) ყოველივე ამას ამ შეხვედრის, პირიქით — ამ ერთი კონკრეტული მატჩით მათ ნამდვილად არ სურთ დაკმაყოფილდნენ და ფრიად სერიოზულ და საქმიან ურთიერთობებსაც სთავაზობენ როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ასევე რესპუბლიკის სპორტისა და ტურისტების სამინისტროს.

საწადელი და მიზანი კე, ვფიქრობ, მკითხველისათვის გაურკვეველი არ უნდა იყოს — მოლოდინის რესპუბლიკაც სრული დამოუკიდებლობისთვის იბრძვის და სპორტისა და, კერძოდ, ფეხბურთის შესწავლას, რა თქმა უნდა, განუდარჩება არ სურთ. რაც შეეხება მოლოდინს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს (ჩვენებურად იგივე პრეზიდენტს) ბატონ პეტრე კომენდანტს, ეს ალბათ, ცალკე წერილის თემაც გახლავთ. ამჯერად კი შევეცდები მოკლედ დავახსიანოთ თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ეს ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ჩვენი დღევანდელი ჩასვლის პარტნიორი დიდხანვ საერთო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ჩვენს შორის. ქართველ კაცს სტუმართმოყვარეობით ვერ გააკვირვებ,



ყორად, ბიჭებო

ანუ შინ იქნება შეგლები?..




რბაშია ამჟამად ქართული ფეხბურთი, რომელიც საკმარისი გამოცემა და თავის ეროვნულ ჩემპიონატსაც ატარებს.
მაშ ასე, მოლოდინები სახლში ეშვადებოდნენ, იქამდე კი თბილისში, დიდძალს საწვრთნელ ბაზაზე შეკრებას გადიოდა საქართველოს ეროვნული ნაკრები თავისი შესანიშნავი მწვრთნელით და პირიქით, კაცით, რომელსაც მართლაც და ღირსეულად ერგო ეს დიდ დიდი პატივი. დიან, ბატონი გიგა ნორაკიძე ავტორიტეტია ქართულ ფეხბურთში და, სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ბატონ გიგას ყოველთვის ორი ბუმბერაზი ქართველი მწვრთნელი — ანდროს ყორიანისა და ნოდარ ანალკაცი გვერდით დავაყენებ...
მე რამდენჯერმე დავესწარი სა-

შეტევას ახორციელებდა და ისევ დავით ყიზილაშვილმა შორეული რიდი კინაღამ გოლით დაამთავრა, სულ მალე კი გიორგი დარასელიამ (რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო) ახლო მანძილიდან მეორე გოლიც გაიტანა მასპინძელთა კარში. ტრიბუნებზე სამარისებური სიხუმე ჩამოვარდა — იმდენად აშკარად ჩანდა ქართველი ფეხბურთელების უპირატესობა, რომ მოლოდინის ეროვნული ნაკრები ერთობ საცოდავად გამოიყურებოდა. მაგრამ, თურმე, ყველაფერი წინ იყო — საქმიან გააქტიურდა მასპინძელთა ორი გამოცდილი და სახიფათო თავდასხმელი — ალექსანდრე სპირილონი და ვიანესლავ პროცენკო. ორჯერ ზედიზედ სპირილონი რეალური შინსი მიეცა ბურთის გატანისა, მაგრამ ეს დღე თამაშის შეძლება საქართველოს ნაკრების მეკარის ნიკა ჩხეიძის დღედ ჩათვალეს. პირველ ტაიმში მან საქართველოს ნაკრების მცველების შეცდომების შედეგად შექმნილი არაერთი სახიფათო მომენტი განმუხტა, აღუვებულმა ქართველმა ფეხბურთელებმა თავისდაშეუშინებლად, დამეს უშახაზი და მოლოდინელები უპირატესობას დაეუფლნენ, რასაც ლოგიკურად გოლიც უნდა მოჰყოლოდა. და ასეც მოხდა — სპირილონი ერთი საპასუხო ბურთით გაიტანა. პირველი ტაიმის მიწურულს გიორგი დარასელიამ შეუტია მწვადე, იქვე საპასუხო იერიში და სერგეი ნანი პირისპირ რჩება ქართველ მეკარესთან — ნიკა ჩხეიძეს უკვე ოვაციებით ეგებებთან ობიექტური მოლოდინელები გულშემატივრები. სრულიად სამართლიანი იყო კიდევაც, რომ ნიკა ჩხეიძე საქართველოს ნაკრების შემადგენლო-

ბაში საუკეთესო მოთამაშეთ ალი-არეს მატჩის შემდეგ.
მეორე ტაიმის დაწყება კი ყველასათვის (ალბათ, მასპინძლებსათვისაც) მოულოდნელი აღმოჩნდა — ემილ კარასმა ისე თავისუფლად შეაღწია საჯარიმოში, რომ მისთვის ხელი არავის შეუშლია და მანაც ასევე სრულიად უმთავალყურედ დარჩენილი გიორგი ხარია მოძებნა და ანგარიში გაათავაზა... და საქართველოს ნაკრებიც, ბოლოს და ბოლოს, „თავის“ ფეხბურთს დაუბრუნდა. ზედზედ ორჯერ მასპინძელთა საჯარიმოში სახიფათო მომენტებიც შეიქმნა, მაგრამ დავით ყიზილაშვილმა და დავით ცომიას მცდელობას წინააღმდეგობა აღუდგა. აქვე, ფრიად დროული აღმოჩნდა ჩვენი გულწრფელი მომხდარი ცვლილებები — ორივე თავდასხმელმა — მიხეილ ჯიშკარიანმა და მიხეილ ყაველაშვილმა ბევრი თავსატეხი გაუჩინეს მეტოქის მცველებს — სრულიად ლოგიკური იყო, რომ ორივემ ერთობ საჭირო და ასევე არანაკლებ ეფექტური გოლები გაიტანეს. ჯერ დიმიტრი კულინოვის შესანიშნავი პასის შემდეგ მიხეილ ჯიშკარიანმა პატარა საფეხბურთო გაცველილი ჩაატარა ნიკა ჩხეიძის საჯარიმოში და მეკარის — შორეულ კუთხეში გაახვიდა ბურთი; შემდეგ კი ვიანესლავის და მიხეილ ყაველაშვილის მიერ ბრწყინვალედ გათამაშებული ოთხსეულიანი კომბინაცია გოლით დაამთავრა ამ უკანასკნელმა. მაყურებელმა მქუხარე ოვაციებით გააცოცა საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელმაც შეხვედრის პირველი და ბოლო თხუთმეტი წუთი დიდი ფეხბურთი აჩვენა. შეიძლება ბევრისათვის საქმარისი არც იყოს ოცდაათი წუთი ასეთი ფეხბურთის ჩვენებისა, მაგრამ ვიყუთ მიმტევებელნი და იმედიანად ვუყურით მომავალს — ახალგაზრდა ქართველმა ფეხბურთელებმა დანახეს მოლოდინელები გულშემატივრებს, რომ ისინი, მიუხედავად იზოლაციისა, კვლავ ძალიან დონის ფეხბურთს თამაშობენ...
ეს დადასტურა კიდევაც მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე მოლოდინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა იონ კარასმა. მისი სიტყვებით, ეს თამაში შესანიშნავი გაკვეთილი უნდა იყოს მოლოდინელებს ფეხბურთელებისათვის და მატჩი რომ ფრედ დამთავრებულიყო, ეს უკვე აშკარა უსამართლობა იქნებოდა, რადგან კლასით, საშემსრულებლო რსტრუქტურითა და, მთლიანობაში, თამაშის შინაარსით საქართველოს ეროვნული ნაკრები ამჟამად მალე იღდა მასპინძლებზე.
ახლა კი გავცნობთ გუნდების შემადგენლობებს, რომლებმაც ამ ამხანაგურ, ოფიციალურ მატჩში მიღეს მონაწილეობა.


გოლდენი: კვანციავი, სეკუ (ტენტიმცანუ), გუზუნი, ხ. სირბუ, კარასი, პარხომენკო (ხარია), პ. სირბუ (რეხევა), კეტიენე (ოგჩენკო), ნანი, სპირილონი (კლემენტი), პროცენკო (კირილოვი).
სამართიანი: ჩხეიძე, კულინოვი, ცხადაძე, შელია, გ. ჯიშკარიანი, ცომია, ქეცხაია, კლასონია, ზიგვავა (მ. ჯიშკარიანი), დარასელია, ყიზილაშვილი (ყაველაშვილი).
გამაჯობილი
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი
სურათი: საქართველოს ნაკრები მატჩის დაწყების წინ; კახი ცხადაძეს მოლოდინური სტუმართმოყვარეობით; თამაშობს მოლოდინისა და საქართველოს ეროვნული ნაკრები; მატჩის საუკეთესო მოთამაშეს ნიკა ჩხეიძეს სამახსოვრო პრიზს გადასცემს პატარა კომენდანტი.

ანდორ კოლაშაშვილის ფოტოები.



მაგრამ მეც და ჩემი კოლეგებიც (ისინი კი მრავლად იყვნენ კიბინოვში და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ახლად ჩამოყალიბებულ სპორტულ ეურნალისტთა ასოციაციას და, პირადად, მის პრეზიდენტს ბატონ ელგუჯა ბერიშვილს) მოხიბლული ვიყავით პეტრე კომენდანტის და მისი მეგობრების სითბოთი და ჟურნალდებით. ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ თქვა ხმამაღლა მოლოდინის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, რომ მატჩი საქართველოს ნაკრებთან მათ სჭირდებოდათ, ძალიან სჭირდებოდათ... ჰირველ რიგში, მოლოდინს ეროვნულ ნაკრებს, რომელიც ასევე ჩამოყალიბების პროცესშია. მისთვის მატჩი საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან შესაძლებელი გახლავთ. პირველი ორი შეხვედრა შარშან დეკემბერში გამართეს რუმინეთის ეროვნულ ნაკრებთან და, რაღა თქმა უნდა, გამოცდილ რუმინელ ფეხბურთელებს არ გასჭირვებიათ ამ ორივე შეხვედრის მოგება (4:1 და 1:0); ხოლო ამ ეტაპზე მეტოქედ საქართველოს ნაკრების ამორჩევი შემთხვევითი არ იყო — ყველას აინტერესებდა თუ რა მდგომარე-

ქართველოს ეროვნული ნაკრების ვარჯიშებს დიდძალ ბაზაზე და ფრიად სასიამოვნო სანახავე იყო, თუ როგორ შეხმატებულულად მუშაობდნენ ბატონ გიგასთან ერთად სხვა მწვრთნელებიც — რამაზ შენგელია, ირაკლი გორგოშიძე და ვაიოხ დარასაძე.
... და აი, მატჩის დაწყების დროც მოვიდა. გულშემატივრებიც მრავლად მოვიდნენ კიბინოვის კონტაქტადიონზე.
...დაიწყო თუ არა მატჩი, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ისეთი პრესინგი შესთავაზა მეტოქეს, რომ მეტოქე პირველი თხუთმეტი წუთის განმავლობაში „გონზე“ ვერ მოვიდა. ჯერ დავით ყიზილაშვილის ეფექტური გარღვევა, შემდეგ კი კახი ცხადაძის თავური დარტყმა მოიგერია მოლოდინის ნაკრების გამოცდილმა მეკარემ, 31 წლის სერგეი კვანციავმა (სხვათა შორის, ამ უკანასკნელს, თავის დროზე, ლანჩხუთის „გურიში“ აქვს ნათამაშევი), მაგრამ ისიც უძლური აღმოჩნდა თებურ ქეცხაიას ზუსტი და ძლიერი დარტყმის შემდეგ — ბურთი მეკარისგან მარცხენა კუთხეში გავიდა. საქართველოს ნაკრები შეტევა-



შეტევაზე ახორციელებდა და ისევ დავით ყიზილაშვილმა შორეული რიდი კინაღამ გოლით დაამთავრა, სულ მალე კი გიორგი დარასელიამ (რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო) ახლო მანძილიდან მეორე გოლიც გაიტანა მასპინძელთა კარში. ტრიბუნებზე სამარისებური სიხუმე ჩამოვარდა — იმდენად აშკარად ჩანდა ქართველი ფეხბურთელების უპირატესობა, რომ მოლოდინის ეროვნული ნაკრები ერთობ საცოდავად გამოიყურებოდა. მაგრამ, თურმე, ყველაფერი წინ იყო — საქმიან გააქტიურდა მასპინძელთა ორი გამოცდილი და სახიფათო თავდასხმელი — ალექსანდრე სპირილონი და ვიანესლავ პროცენკო. ორჯერ ზედიზედ სპირილონი რეალური შინსი მიეცა ბურთის გატანისა, მაგრამ ეს დღე თამაშის შეძლება საქართველოს ნაკრების მეკარის ნიკა ჩხეიძის დღედ ჩათვალეს. პირველ ტაიმში მან საქართველოს ნაკრების მცველების შეცდომების შედეგად შექმნილი არაერთი სახიფათო მომენტი განმუხტა, აღუვებულმა ქართველმა ფეხბურთელებმა თავისდაშეუშინებლად, დამეს უშახაზი და მოლოდინელები უპირატესობას დაეუფლნენ, რასაც ლოგიკურად გოლიც უნდა მოჰყოლოდა. და ასეც მოხდა — სპირილონი ერთი საპასუხო ბურთით გაიტანა. პირველი ტაიმის მიწურულს გიორგი დარასელიამ შეუტია მწვადე, იქვე საპასუხო იერიში და სერგეი ნანი პირისპირ რჩება ქართველ მეკარესთან — ნიკა ჩხეიძეს უკვე ოვაციებით ეგებებთან ობიექტური მოლოდინელები გულშემატივრები. სრულიად სამართლიანი იყო კიდევაც, რომ ნიკა ჩხეიძე საქართველოს ნაკრების შემადგენლო-



საქართველოს ისტორია

დავით აღმაშენებლის ხაზგადგომის მრავალდარგოვანმა ფირმა „მერონმა“ გამოსცა აკაკი და პაატა სურგულაძეების „საქართველოს ისტორია 1988-1990 (საკითხავი წიგნი)“. როგორც სათაურიდანვე მიხვდება მკითხველი, წიგნი წარმოიშობა ჩვენი ქვეყნის წარსული ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, უფრო ზუსტად, გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ. აქ ვერ შეხვდებით იმ სტერეოტიპულ აზროვნებას, რომელიც აგრეთვე იყო დამახასიათებელი ქართული ისტორიოგრაფიული ნაწარმოებების. უმრავლესობისათვის ამ ბოლო 70 წლის განმავლობაში და რომელიც დამახასიათებელი იყო თვით ამ ავტორთა ნაშრომებისათვისაც, წიგნი განხილულია ის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ განვითარებას მე-18 და მე-20 საუკუნეებში.
ურადაღება განახლებულია ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე როგორც ცარიზმის ბატონობის, ისე საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში. წიგნი ღირსებას მატებს ის, რომ დართული აქვს მრავალი საინტერესო დოკუმენტი და მასალა, მათ შორის: 1788 წლის ხელშეკრულება, 1801 წლის მანიფესტი, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1918 წელს შემუშავებული კანონი მოქალაქეობისა, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს და მრავალი სხვა.
არც ის არის უმნიშვნელო ფაქტი, რომ წიგნი რეცენზენტები არიან ცნობილი მეცნიერები: ნოდარ ახათიანი, შოთა ბადრიძე, ლევან თოიძე, წიგნის ფასია 7 მანეთი.

პაატა სურგულაძე
მარიამული
პაატა სურგულაძის
სამუშაოების
სამაგისტრო

საქართველოს რესპუბლიკის ი. კავკავაძის ხანგლობის ხაზგადგომა „ცოდნამ“ გამოსცა
პაატა სურგულაძის „ქართული პარლამენტის სათავეებთან“ მასში საუბარია თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პრობლემის დასმისა და განვითარების შესახებ. ავტორი გვაცნობს სხვადასხვა პარტიების: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული — ეროვნული ამ საკითხის მიმართ, იმ ოთხი ძირითადი მიმართულების მიმართ, რომელიც ქართულ სინამდვილეში გამოიკვეთა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. დღეს, როცა საქართველო დაადაგა პარლამენტური ცხოვრების გზას ეს წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია ქართული პარლამენტარიზმის ისტორიით და აგრეთვე თავისი პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებით.

საკრებულო

ფირმა „ჰუმანიზმი“

ფირმა „ჰუმანიზმი“ აგრძელებს თავის საქმიანობას, რათა მაქსიმალური დახმარება გაეწიოს ნავთების ყიდვასა და გაყიდვაში, ბინების ყიდვა-გაყიდვაში, გაქირავებაში, დაგირავებაში.

ლერმონტოვის ქუჩა № 19,
ტელეფონი: 93-20-76.

იყიდება:

1. პიანინო „აკორდი“ შავი ფერის; „ზარია“ შავი ფერის; „ბელორუსი“ შავი ფერის; „კრასნი ოქტიაბრი“ შავი ფერის;
2. როიალი „სტენვეი“ — ნახევარ საკონცერტო; „ავგუსტ ფოსტერი“ — ნახევარ საკონცერტო;
3. ვიდეომაგნიტოფონი 3მ-12 (სამამულო, უხმარი); „ფუნაი“ (იაპონური, უხმარი);
4. ტელევიზორი „ბეკო“ (იაპონური, უხმარი);
5. რუმინული „ტროიკა“ (უხმარი);
6. სამამულო წარმოების კაკლის ხის საძინებელი;
7. რუმინული საძინებელი გარნიტური „ტულბანი“ (კარგად შენახული);
8. რუმინული საძინებელი გარნიტური „რონდო“ (კარგად შენახული);
9. საძინებელი „რიენსი“ (უხმარი);
10. რუმინული კაბინეტის კედელი (უხმარი);
11. რუმინული კედელი სავარძლებით, დივანით, მაგიდით.

- სკამებით (კარგად შენახული);
12. იაპონური სარეცხი მანქანა „შარპი“;
 13. ორი ცალი უხმარი არაბული ტახტი;
 14. 7 ოთახიანი კერძო სახლი სვანეთის უბანში;
 15. 4 ოთახიანი შესყიდული, კეთილმოწყობილი ბინა მთაწმინდის რაიონში (ჭონჭაძის ქუჩაზე);
 16. 2 ოთახიანი კოოპერატიული ბინა მშენებარე ლოჯით, ნუკუბიძის 4 მ/რ;
 17. 3 ოთახიანი შესყიდული ბინა, მშენებარე 50 კვ.მ. ლოჯით, ვაკეში;
 18. 4 ოთახიანი შესყიდული ბინა დიდ დიდომში.

- იზოლირებულ ბინებზე — გლდანი, მუხიანი, თემქა;
3. 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა ჭავჭავაძის გამზირზე (მე-11 სართული) ორ ან ერთოთახიან ბინაზე;
 4. 2 ოთახიანი იზოლირებული ბინა კერძო სახლში ვერაზე (ყოფილი კალანდაძის ქუჩა), მე-2 სართული (ბინა ეზოშია), ერთოთახიან ბინაზე საბურთალოში;
 5. 3 ოთახიანი კერძო ბინა ვაკეში (ერისთავის ქუჩა) ბელეტაჟით — 4 ოთახიან ბინაზე (მასივების გარდა) — ან იყიდება;
 6. 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა ბელეტაჟით, სას-ტუმრო „აფხაზეთთან“ 3 ოთახიან იზოლირებულ ბინაზე საბურთალოს ბოლოში ან სანზონაში;
 7. 2 ოთახიანი კოოპერატიული ბინა მშენებარე ლოჯით მე-6 სართულზე (აბასთუმნის ქუჩა) ერთოთახიან ბინაზე საბურთალოს ან დიდუბის რაიონში პირველ-მეორე სართულზე;
 8. 2 ოთახიანი იზოლირებული ბინა — ერთი ყოფილ კ.მარქის მოედანზე მაღლივ სახლში, მეორე წერეთლის გამზირზე გამოფენასთან — ერთ, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ, სამოთახიან ბინაზე ქალაქის ცენტრში.

იცვლება:

1. 3 ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა, საერთო ფართობი 100 კვ.მ., 3 სართულიანი სახლის მესამე სართულზე ჭონჭაძის ქუჩიდან, ორ ოთახიან ბინაზე ერთი მთაწმინდის, მეორე — საბურთალოს რაიონებში;
2. 2 ოთახიანი კოოპერატიული იზოლირებული ბინა ღრმაღელეში (არბოს ქუჩა) მე-4 სართულზე — თითო ოთახიან

გამაჰაცთა საპურადღებოღ

ოჯახური უსიამოვნება, დებრესია, სასოწარკვეთილება, ხშირად მოსდევს სექსობრივ მოშლილობებს.

თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი მიმართეთ კოოპერატივ „კონტაქტს“.

ბატივცეფულო გამაჰაცეგოი

მხოლოდ ჩვენთანაა დანერგული იმპოტენციის (მაჰაცეცის სექსობრივი უძლეობა) მკურნალობა ერექტორით-მეთოდით, რომელიც მიუხედავად იმპოტენციის გამომწვევი მიზეზებისა და პაციენტის ასაკისა გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით.

ჩვენთან დანერგული ლაბორატორიული გამოკვლევები, მკურნალობის კომპლექსურობა (ერექტორითერაპია, მედიკამენტოზური, აბიურაპია, ბიოველი, წერტილოვანი მასაჟი და სხვა) ასევე საშუალებას იძლევა პროსტატის მაღალ შედეგიან მკურნალობაში.

მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49^ა, (საორტსახკომის შენობა) II სართული. ოთახი: 9-10-11. ტელეფონი 22-55-71.

მიღება: სამუშაო დღეებში 19-დან 21 სთ-მდე.

შაბათ-კვირას 10-დან 12 სთ-მდე.

მკურნალობა ანონიმურია.

სარეკლამო სააგენტო

„არგო-ბლიკი“

იყიდება მიკროავტობუსი „ტოიოტა-პაის“, წლინახევრის, ოთხცილინდრიანი ძრავით, 100 კმ-ზე ხარჯავს 10 ლ. ბენზინს; 6 ადგილიანი, სატვირთო ნაწილით. სალონი კეთილმოწყობილია, აღჭურვილია კონდენციონერებით, თეთრი ფერის, ფასი 170000 მანეთი. მსურველებმა დარეკეთ ტელეფონზე: 37-58-25. მისამართი: ბუღაძეშტის 1.

ვიზების სათარგმნელად მიმართეთ ფირმა „ჰუმანიზმის“ სერვის ბიუროს. ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ გამგზავრებისათვის საჭირო ანკეტები და ვიზების ქსეროასლები. მისამართი: ლერმონტოვის ქ. № 19 (თავისუფლების მოედანთან), ტ. 93-20-76, 18⁰⁰-18⁰⁰ სთ-მდე. უკვე დღე გარდა კვირისა. „არგო-ბლიკი“

კომპიუტერებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელებელი ფირმა „ინტო“ გთავაზობთ პროგრამულ უზრუნველყოფას ქართულ ენაზე და აცხადებს მიღებას პირველადი კომპიუტერული განათლების კურსებზე. სწავლების ხანგრძლივობა 1 თვეა. ღირებულება ორგანიზაციებისათვის 500 მან. კერძო პირთათვის 800 მან. ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 72-50-49. 74-17-38.

იყიდება ან იცვლება მაღალმთიანი აგარაკი სახლით თბილისიდან 30 კმ-ის მოშორებით, (ცხვარიჭამიის მიდამოებში) თბილისში 1 ან 2 ოთახიან ბინაზე ცენტრში. აგარაკი ტყის პირზეა. აქვს 800 კვმ ნაკვეთი. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 66-02-39 ან 99-83-23.

სააქციონერო-კომერციული ბანკი „ბაჰაჰასინის ბანკი“ მძლეოდ სამუშაოდ იწვევს კერძო მანქანის მფლობელებს, რომელიც სასურველია ცხოვრობდეს ვაკის რაიონში და პქონდეს ტელეფონი ბინაზე. ანაზღაურება — ხელშეკრულებით. დამატებითი ცნობები სალამოს საათებში ტელეფონით 23-24-32.

იყიდება ან იცვლება მაღალმთიანი აგარაკი სახლით თბილისიდან 30 კმ-ის მოშორებით, (ცხვარიჭამიის მიდამოებში) თბილისში 1 ან 2 ოთახიან ბინაზე ცენტრში. აგარაკი ტყის პირზეა. აქვს 800 კვმ ნაკვეთი. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 66-02-39 ან 99-83-23.

იყიდება ან იცვლება მაღალმთიანი აგარაკი სახლით თბილისიდან 30 კმ-ის მოშორებით, (ცხვარიჭამიის მიდამოებში) თბილისში 1 ან 2 ოთახიან ბინაზე ცენტრში. აგარაკი ტყის პირზეა. აქვს 800 კვმ ნაკვეთი. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 66-02-39 ან 99-83-23.

მსურს ვეყიდო ერთოთახიანი ან ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა ქალაქის ცენტრალურ რაიონებში (საბურთალო, დიდუბის მასივი და ა.შ.), სასურველია ტელეფონით. დარეკეთ ტელეფონზე: 37-58-25 დასვენების დღეების გარდა (10⁰⁰სთ-დან 18⁰⁰სთ-მდე).

იყიდება ფიჭვის კარფანჯარა. დარეკეთ ტელეფონზე: 23-38-41.

საზოგადოებრივი პოლიტიკური
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღებად — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 93-99-32.

გაზეთი გადომის კვირაში სამჯერად: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარაჯიშვილი

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამოცემლობა „საშინდოს“ სტამბა თბილისი, მ. კობახიას 14, იხეველება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში სოზარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 68400

რედაქციის მისამართი
მ. თბილისი — 380096
მ. კობახიას ქ. № 14.